

შპს „ეიჩე რენტალი“ (ს/ნ 205291441)

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაამავე თარიღით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი აქტივები	15144	560376	438661
ფული სალაროში	0	0	548
ფული ბანკში	11046	295141	105240
დებიტორული დავალიანება	0	31958	93603
გაცემული ავანსები	0	2288	0
საგადასახადო აქტივი	4098	0	0
საქონელი (ქვიშა-ხრეში)	0	230989	239270
გრძელვადიანი აქტივები	3152	617879	877057
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3.1)	3152	615928	843565
არამატერიალური აქტივები (ლიცენზია)	0	1951	33492
სულ აქტივები	18296	1178255	1315718
მოკლევადიანი ვალდებულებები	0	192564	355265
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	0	137258	310233
საგადასახადო ვალდებულებები	0	20771	30831
მოკლევადიანი სესხები	0	20841	0
მიღებული ავანსები	0	11440	11441
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	2254	2760
გრძელვადიანი ვალდებულებები	0	441451	208319
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	441451	208319
სულ ვალდებულებები	0	634015	563584
კაპიტალი	18296	544240	752134
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-81066	439878	634672
საწესდებო კაპიტალი	99362	104362	117462
სულ საკუთარი კაპიტალი	18296	544240	752134
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18296	1178255	1315718

შპს „ეიჩე რენტალი“-ს დირექტორი



ლაშა ჯინჭარაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

დასახელება	31/12/2023	31/12/2022
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2966	161182
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	95000	1468237
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-249266	-1332012
საერთო მოგება	-151300	297407
დასაქმებულთა ანაზღაურება	-4955	-238780
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3.1)	-18570	-182465
საიჯარო ხარჯი	0	-13385
სხვა ხარჯი (შენიშვნა 3.2)	-45423	-242174
საოპერაციო მოგება	-220248	-379397
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ნამეტი	188926	211678
საპროცენტო ხარჯი	-4912	-27075
საკურსო სხვაობა (დადებითი + უარყოფითი -)	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-484710	0
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-520944	-194794
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-520944	-194794

შპს „ეიჩე რენტალი“-ს დირექტორი

ლაშა ჯინჭარაძე



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	42539	1706737
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-75633	-1168160
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-3885	-434626
გადახდილი გადასახადები და მოსაკრებელი	-159511	-334341
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრები	-3811	-22132
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-200301	-252522
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და გაუმჯობესება	0	-5443
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	926340	237058
სხვა საინვესტიციო საქმიანობიდან	-544425	0
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	381915	231615
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება (შემცირება)	-5000	-13100
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	0	335841
სესხის ძირის გადახდა	-442101	-81867
სესხის პროცენტის გადახდა	-4912	-27075
დივიდენდების გადახდა	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-452013	213799
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-270399	192892
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	-13696	-3539
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	295141	105788
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	11046	295141

შპს „ეიჩე რენტალი“-ს დირექტორი



ლამა ჯინჭარაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	117462	634672	752134
ზრდა+ / შემცირება-	-13100	-194794	-207894
გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	104362	439878	544240
ზრდა+ / შემცირება-	-5000	-520944	-525944
გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	99362	-81066	18296

შპს „ეიჩე რენტალი“-ს დირექტორი

ლაშა ჯინჭარაძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა

შპს „ეიჩე რენტალი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 205291441

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს; მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო მოედანზე, სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა 8.

კომპანიის დამფუძნებლები არიან ლაშა ჯინჭარაძე 50%, კონსტანტინე კვერნაძე 50%. ხოლო დირექტორი ლაშა ჯინჭარაძე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ- ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადინაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

წლიური ამორტიზაციის ნორმა

სატრანსპორტო საშუალებები

5 წელი

მოწყობილობები

5 წელი

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

5 წელი

მანქანა-დანადგარები

5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო

(რეალური) შეფასება. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდი ბოლოს არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ ცენტრალური გათბობისა და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2022 წელი - 48875 ლარი;

2023 წელი - 0 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლების ანალიზი

3.2 ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და დაგროვილი ცვეთის შესახებ.

2022 წლის ძირითადი საშუალებები

დასახელება	ისტ. ღირ-ება	ჯამური ცვეთა	საბალანსო ღირ-ება	მიღება	ცვეთა	რეალიზ. ძირ. საშუალების საბალანსო ღირ	ისტ. ღირ-ება	ჯამური ცვეთა	საბალანსო ღირ-ება
მიწის ნაკვეთები	142559	0	142559	0	0	0	142559		142559
შენობები	0	0	0	0	0	0	0		0
მოწყობილობები	12116	6999	5117	461	2339	0	12577	9338	3239
საგრანსპორტო საშუალებები	1613932	1474571	139361	0	76411	50533	1208138	1195721	12417
ოფისის აღჭურვილობა	8197	5348	2849	0	305	0	8197	5653	2544
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11462	9541	1921	0	700	0	11462	10241	1221
მანქანა დანადგარები	987712	435955	551757	4900	102710	0	992612	538665	453947

2023 წლის ძირითადი საშუალებები

დასახელება	ისტ. ღირ-ება	ჯამური ცვეთა	საბალანსო ღირ-ება	მიღება	ცვეთა	რეალიზ. მიღ. საშუალების საბალანსო ღირ	ისტ. ღირ-ება	ჯამური ცვეთა	საბალანსო ღირ-ება
მიწის ნაკვეთები	142559	0	142559	0	0	142559	0	0	0
შენობები	0	0	0	0	0	0	0	0	0
მოწყობილობები	12577	9338	3239	0	1492	1747	0	0	0
საგრანსპორტო საშუალებები	1208138	1195721	12417	0	6538	5879	0	0	0
ოფისის აღჭ-ბა	8197	5653	2544	0	305	0	8197	5958	2239
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11462	10240	1222	0	310	0	11462	10550	912
მანქანა დანადგარები	992612	538665	453947	0	9925	444022	101763	101763	0

3.2 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების გაშიფვრა
2022 წლის სხვა ხარჯების გაშიფვრა

ავტომობილის რემონტი	3237
ოფისის ხარჯი	1656
საწვავის ხარჯი	77814
მომსახურების ხარჯი	1230
კომუნიკაციის ხარჯები	11444
დამღვევა	315
შემოსავლების მომსახურების ხარჯი	3000
საკურსო სხვაობა	10948
საპატრულო ჯარიმა	320
ადმინისტრაციული ჯარიმა	23177
ქონების გადასახადი	8762
სხვა საერთო ხარჯი	100271
ჯამი	242174

სხვა ხარჯების გაშიფვრა 2023 წელი

საწვავის ხარჯი	1250
ავტოგეჟმომსახურება	3027
კომუნიკაციის ხარჯები	1417
კომუნალური გადასახადი	640
ბანკის საკომისიო	1508
სამეურნეო საქონელი	112
სხვადასხვა მომსახურებების ხარჯი	246
ქონების გადასახადი	2383
ადმინისტრაციული ჯარიმა	27265
გადაფორმებისა და გირავნობის მოხსნის ხარჯი	1730
სხვა საერთო ხარჯი	5845
სულ	45423

შპს ეიჩე რენტალი“-ს დირექტორი

ლამა ჯინჭარაძე

